ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 17-01171801636

თარიღი: 29.06.2017

ადრესატი:
რომეო სარია
პირადი ნომერი: 51001000417
მისამართი: შარტავას ქ. N40

ბატონო რომეო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171451943-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-19/01171451943-17

"28." 06. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. №57-ში (საკ. კოდი №01.10.14.016.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2578623 04.05.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. №57-ში (საკ. კოდი №01.10.14.016.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

"1-4" ფასადი: შეცვლილია კარი-ვიტრაჟების ნახატი. +0.00 ნიშნულზე ღიობებში გაუქმებულია კარები და ვიტრაჟი, ხოლო "2-3" მონაკვეთში ორი ღიობის ნაცვლად მოწყობილია ერთი. "1" ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +3.05 ნიშნულზე "2-3" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე. +25.80 დამატებულია კონდიციონერი.
"4-1" ფასადი: აივნებზე დამატებულია გამათბობლის ქვაბები. "1" ღერძთან +19.30 ნიშნულზე დამატებულია გამწოვი მილი. +16.05 ნუშნულზე და ზევით აივნებზე დამატებულია ლითონის სვეტები და ტიხრები. "4-2" მონაკვეთში +3.05 ნიშნულიდან +16.05 ნიშნულამდე გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე.
"დ-ა" ფასადზე "გ" ღერძთან დამატებულია ღიობი. "ა-დ" ფასადზე ღიობები არ არის ბოლომდე შევსებული მინაბლოკით.
შიდა კიბის უჯრედის გარშემო მონოლითურ კედლებში ღიობების რაოდენობა არ შეესაბამება საპროექტოს, ასევე შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. რიგგელებს ნაწილობრივ მონაცვლეებული აქვთ ადგილები. ასევე +25.80 ნიშნულზე და ზევით კოლონების ადგილმდებარეობა შეცვლილია. +25.80 და +29.05 ნიშნულებზე შეცვლილია ხის კიბეების ფორმა, +32.30 ნიშნულზე კი გაუქმებულია.
ტერიტორია "ა" ღერძის გარეთ დამატებით მოპირკეთებულია ბეტონის საფარით.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სამშენებლო ინვესტიციები"-ს, ქ. თბილისში, ცაგარელის №57-ში (საკ. კოდი №01.10.14.016.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171451943-17 25.05.2017წ. 19/01171452638-17 25.05.2017წ. №19/01171723243-17 21.06.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე